სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 961

დამატების № 169

კვირა, 4 აგვისტო 1913 წ.

ქალწული ყვავილი

ქალწულ ყვავილს ქალწულ ბაღში ქალწულივე ქალი რგავდა,
მაგრამ თვითონ მონარნარე თვით იმ ნარნარ ყვავილს ჰგავდა;
ჰგავდა ისე, რომ სიტურფე თვითონ მეც კი, მეც .შეეშურდა,
რომ ვერ ვიტყვი: ვარდმა ქალი თუ იმ ქალმა ის გაჰქურდა?!.
ყვავილს ნამი დაჰხაროდა ნამი სუფთა, ნამი ბროლი,
ქალს კი სიო ტუჩს უხსნიდა, სიო ზეცით მონაქროლი;
ყვავილს მზისა სხივთ ნაჭუჭი ზედ ეფრქვეოდ-ემსხვრეოდა,
ქალს კი ყორნის თმა-ნაწნავი მოქნილ ტანზე ერხეოდა;
და ვერ ვიტყვი ქალმა ვარდი თუ იმ ვარდმა ის გაჰქურდა?!.
და მომწყურდა მათი ხილვა, მათი ხილვა მეც მომწყურდა.
და ოცნებით მიველ ქალთან... მიველ ქალთან და ეს ვკადრე:—
მითხარ, ქალო! მითხარ, ქალო! რა დასჭკნება უფრო ადრე—
ეგ ყვავილი მოქალწულე, ქალწულ ბაღში გადარგული,
თუ ეგ გული?!. თუ ეგ გული?!..

ნ. გრიშაშვილი.

სხვა და სხვა სისტემით

(მოთხრობა რეზლერისა)

— თქვენ ცოლს ირთავთ, ყმაწვილო კაცო?

— გირჩევთ მოიგონოთ შილერის ლექსი: „ჯერ მოიფიქრე, ასწონ-დასწონე სუყველაფერი...“ მეტადრე ის შეიტყე დანამდვილებით, თუ რა სისტემით ხელმძღვანელობს შენი გულის სატრფო,—იმ სისტემით, რითაც შენ, თუ სხვა რამ გვარით?! გიკვირთ ჩემი რჩევა? მაშ, აგიხსნით. სულ რამდენიმე დღეა მას აქეთ, რაც ამაში დავრწმუნდი ჩემი ძმისწულის შესახებ. საწყალი ყმაწვილი, მე ძლიერ მებრალება. ქალი მშვენიერი იყო და უთუოდ ბედნიერებიც იქნებოდნენ, რომ... და აი ამ შემთხვევაზე მინდა გიამბოთ. ასე იყო საქმე.

საქორწილო ეტლში ვისხედით ოთხნი და მივაქროლებდით ოლქის კანცელარიისაკენ. მე და ჩემი მეგობარი, როგორც მოწმენი, ჩემი ძმისწული —ვაჟარი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ამ ქალაქში ჩემის მეტი მახლობელი არავინ გააჩნია და რომლისათვისაც მე ვიკისრე ეს მძიმე თანამდებობა და ჩემ მეგობარსაც მოვუხმე ამისათვისვე.



ფერდინანდ-ავგუსტ ბებელი,
გერმანიის სოც.-დემოკრ. ბელადი.
(გარდაიცვალა ციურიხში 31 ივლისს 1913 წ.)

ჩვენ არ გვეპიტნავებოდა ეს მეჯვარეობა, ხომ მოგეხსენებათ ყოველთვის კაცმა არ იცის, თუ რა გამოვა ამ ჯვრის წერიდან, მაგრამ გულს იმითი ვინუგეშებდით, რომ ჩემმა ძმისწულმა, ბედნიერებით აღვსილმა საქრმომ, საქორწინოდ იყიდა მშვენიერი ძვირფასი ღვინოები... და მთელი საღამოც ჩვენ შეგვეძლო მშვენიერი პატარძლის ცქერით გაგვეტარებინა.

რომ იცოდეთ, რა ცუგრუმელა რამ მოხვდა ბადეში ჩემ ძმისწულს! ობოლი... მშვენივრად განათლებული—უმაღლესად განათლებული კი არა, ნამდვილად განათლებული, გამოსაყენებელის ცოდნით აღჭურვილი: იცის ხარშვა, იცის ბუღალტერია, და ჯამაგირშიც არის. ამასთან არის მხოლოდ ოცდა ერთის, თუ ოცდა ორის წლის ბალღი! შეხედულობა ხომ რაღა! თვალები, თმები, სუყველაფერი, ერთის სიტყვით, თავისი საკუთარი, არა მიღებული. მოკლედ რომ ვსთქვა—მე თვითონ მზად ვიყავ შემყვარებოდა ის მშვენიერი, მხოლოდ, შეხედულობა როგორღაც თავისებური, ჯიუტი ჰქონდა; ეტყობოდა, სხვის ტაშზე ხტომას არ დაიწყებდა. თუმცა ჯიუტობით ჩემი ძმისწულიც გზას არავის დაუთმობდა, მაგრამ მე ვფიქრობდი, ჯიუტობა იმათ ხელს არ შეუშლიდა, რადგან მათ შორის სიყვარული ბატონობდა. შეჯიბრება ხან-და-ხან ურიგოც არ არის. მაგრამ ერთმანეთის გაცნობისთვის იმათ დრო არა ჰქონდათ. სულ ორ თვე ნახევარია, რაც გაიცნეს ერთმანეთი; ორი თვეა, რაც დაინიშნენ და მესამის დასაწყისში ჯვარის წერასაც შეუდგნენ. ამ გარემოებაში აბა კეთილი რა წარმოსდგებოდა. კიდევ კარგი, რომ შედარებით მაგდენი არაფერი დაშავდა.

მაშ ასე, ჩვენ მივქროდით ეტლით, ესე იგი, მე და ჩემი მეგობარი მოწმებად და ისინი კი თავისთვის; ჩვენ ყურადღებას არც კი გვაქცევდნენ, ჩვენც გვესმოდა ეს გარემოება და ჩუმად ვისხედით, გერონგი იქნება ფიქრობდა თავის საქმეებზე, იქნება არაფერზედაც არ ფიქრობდა, მე კი ვსტკბებოდი



თამარის ციხე, აწყურის მახლობლად. (ახალც. მაზრა).

ჩემის მტრედების ცქერით და ოდნავ ყურს ვუგდებდი იმათ ლუღუნს. ვნახოთ, იმათ ლაპარაკმა საერთოდ საინტერესო მიმართულება მიიღო; მე ყურები ვცქვიტე.

— მე სრულიად არ ვიცოდი, რომ შენ სტენოგრაფია იცი! სწორედ ოქროს ხელები გაქვს, რა არ იცი შენ! რომ მცოდნოდა, ხომ წერილებს სტენოგრაფიით მოგწერდი. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ ეხლა მაინც შევიტყე. ჩვენი ბედნიერება ამ შემთხვევით უფრო გაღრმავდება. რა დახმარებას გამიწევ რომ იცოდე, როდესაც საქმის ქაღალდები მომიგროვდება. მე შენ გიკარნახებ და შენ კი ხელად მანქანაზე ააწყობ.

— დიდის სიამოვნებით, უპასუხა მარგარიტამ.

— მეც ვიცი სტენოგრაფია, მაგრამ ასე კარგად არა, როგორც შენ გეცოდინება, თუმცა მე თავმჯდომარე ვარ უდიდესის სტენოგრაფიის საზოგადოებისა ჩვენს ქალაქში.

— თქვენ ხმარობთ შტოლცე-ბრეის სისტემას, რასაკვირველია, შენიშნა სასძლომ.

— არა, გაგელსბერგისას—უპასუხა, საქრმომ ტ თვალებში შეაჩერდა.

წინად ისინი ერთმანეთან მიკრულნი ისხდნენ, ეხლა კი ოდნავ განშორდნენ.

— გაგელსბერგისას?—ჰკითხა მარგალიტამ ოდნავის ტუჩის აბზიკით. განა შეიძლება კიდევ ხმარება, მაგგვარის დაძველებულის სისტემისა?

— დაძველებულის სისტემისა? რას ამბობ, სულო ჩემო! ეგ ერთად-ერთი სისტემაა ნამდვილი და სრული. იმიტომაც მრავალი მომხრე ჰყავს ყოველგან.

— იქნება, მაგრამ იმან უნდა დაუთმოს ჩვენისას, რომელიც ნელ-ნელ ღა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გასდევნის ყველა სხვას. ყველა, ვინც დროს მისდევს (და მე შენც იმათ შორის გთვლი, რასაკვირველია) ხმარობს იმ სისტემას, რომელსაც ეკუთვნის მომავალი გამარჯვება და მაშასადამე, შტოლცე-ბრეის აძლევს უპირატესობას.

მე ძლიერ შევშფოთდი, ვგრძნობდი, რომ საკარე ენთებოდა.

— ჩემო კარგებო,—შევაწყვეტინე,—დღეს თქვენი ქორწინებაა, სხვა და სხვა სისტემის უმჯობესობაზე შეგიძლიანთ იბაასოთ შემდეგ პირველი თვის ბედნიერებისა. წერილების წერა ერთმანეთთან ხომ აღარ დაგჭირდებათ და მდივნის თანამდებობაზედაც უარი შეგიძლიან განუცხადო შენს მეუღლეს.— მივმართე მარგარიტას. რაც შეეხება გილსბერგს და შტოლცე-ბრეის განა სულ ერთი არ არის შტოლც-ბრეი, თუ, გაგელსბერგი? ეტლი შესდგა. ეს მე ძლიერ გამეხარდა, შევედით ოლქის მმართველობის კანცელერიაში. წინ მიდიოდნენ ისინი ხელი-ხელ გაყრილნი, ჩვენც უკან მივსდევდით. შესანიშნავი წამი იყო. უცებ, წარმოიდგინეთ, ჩემი ძმისწული—დასწყევლოს ეშმაკმა, თითქო აღთქმის სათქმელად მოემზადა და წარმოსთქვა:

— იცი, ძვირფასო ბიძია, შენ სცდები: სულაც ერთი არ არის ის, თუ რომელ სისტემას ემხრობი. გილსბერგს მომატებულად შემოკლებული წინადადებები აქვს და ბევრად ნაკლები—გაუგებრობა...

მაგრამ ძლიერ ძნელია შესასწავლად, უპასუხა სასძლომ.

— სრულიადაც არა, ეგ შეცდომაა! მე, ძვირფასო მარგარიტა, დიდს სიამოვნებას განვიცდი, როდესაც შეგასწავლი ჩვენს სისტემას. გარწმუნებ, ორის თვის შემდეგ შენ შესძლებ წერას წამში 150-დან 200 სიტყვისას.

მე გავცეცხლდი.

— სულელი ხარ—ვუყვირი მე,—რა დროს ორი თვეა? გასწი წინ, ხმა აღარ ამოიღო.—და ხელი ვკარ დარბაზში შესასვლელად. იქ გველოდა მოხუცი მოხელე, რომელმაც მაშინვე მიმართა იმათ კითხვით: თქვენ ასე და ისეო... მე ყურს არ ვუგდებდი, მე ვანჩხლობდი ჩემ ძმისწულზე და გულში ვამობდი: „ოჰ, რა სულელია, რა რეგვენი,—იმას უნდა, რომ ცოლი, (ხომ ამ წამში იმის ცოლად უნდა გახდეს მარგარიტა) ეხლავე სწავლაში ჩასვას; განა ცოტა საქმე ექნება, საწყალს, ოჯახში!..“ მაგრამ აქ შესწყდა ჩემი ფიქრები. დრო იყო ხელის მოწერისა. საქრმომ მოაწერა კიდეც და კალამი სასძლოს გადასცა. ისიც დაიხარა წიგნზე, (რომ იცოდეთ, რა მშვენიერი რამ იყო ამ დროს! ნამდვილი ანგელოზი იყო, ნამდვილი!) ამოაწო კალამი მელანში,—მაგრამ შესდგა, თავი მაღლა აიღო, ღიმილით შეხედა ჩემს ძმისწულს და ჰკითხა:

— ალფრედ, გიყვარვარ?

— მთელ ქვეყნიერებას მირჩევნიხარ,—მიუგო მან.

— თანხმა იქნები ცეცხლში გადავარდე ჩემთვის?

— წყალშიაც!—აღტაცებით მიუგო ალფრედმა.

— ოჰ, მაგდენს ვერ მოგთხოვ, მაგრამ მინდა კი, რომ დასამტკიცებელი საბუთი...

— როგორიც გნებავს,—შეჰყვირა ჩემმა ბოჩოლამ.

— კარგი—უთხრა მარგარიტომ — მხოლოდ მიატოვე გილსბერგის სისტემა.

— რა?!

— შტოლცე-ბრეიეს მიჰყე ხელი.

ძმისწულს შუბლზე ცივი ოფლი წამოადგა.

— არა!—წარმოსთქვა იმან,—არა! სხვა სუყველაფერი, რაც გინდა, მარგარიტა, მხოლოდ ეგ არ შემიძლიან...

— ძრიელ კარგი,—უპასუხა კუდიანმა—ჩვენი საქმე იშლება, მე არ ვაწერ ხელს...

უნდა დაგენახათ რა მოუვიდა დარბაისელ მოხელეს! უთუოდ ამ გვარი შემთხვევა არას დროს არ შეხვედრია თავის



სოფ. ხერთვისი, ასპინძის მახლობლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხნის გამოცდილებაში. ძე საჩქაროდ შეუდექი ახსნას იმისას, თუ რაში იყო საქმე. მოხელე შეუდგა იმათ მორჯულებას: ჯერ ეხვეწა ქალს, მერე ვაჟს, მაგრამ არც ქალმა და არც ვაჟმა არ ისურვეს სიტყვის უკან წაღება.

— სულელო, ვეუბნები ძმისწულს, განა შეიძლება ამისთანა მშვენიერებას კაცმა რამეზე უარი უთხრას? ჩქარა დასთანხმდი და წავიდეთ სადილი გველის... საშინლად მშიან...

— ბიძია, -მეუბნება ის, ისეთის კილოთი, თითქო სარწმუნოებისთვისა აწამებდნენ,—ეს ჩემი რწმენის წინააღმდეგ იქნებოდა. მე როგორც თავმჯდომარე მთელის საზოგადოებისა, მოვალე ვარ დავიცვა...

— მოწყალეო ხემწიფევ,—ეუბნევა იმას მარგარიტა და და თან თვალებიდან სიბრაზის ცეცხლები სცვივა,—ეგ თქვენი უკანასკნელი სიტყვაა?

— მარგარიტა,—ძვირფასო!—და მზათ არს ქალს წინ მუხლებზე დაეცეს.

— უთუოდ უნდა შეისწავლო გრეიე.

ალფრედი ტუჩებს აცმაცუნებს... რიღასიც თქმა უნდა... აი თითქო უნდა დასთანხმდეს... სთქვას „დიახ“... მაგრამ აგონდება თავისი „მოვალეობა“, წმინდა მოვალეობა, სისტემისა იმარჯვებს და მკაფიოდ იმეორებს:

— არას დროს!

ალქაჯი წელში გასწორდა, დაბლა თავი დაგვიკრა და წარმოსთქვა: „გისურვებთ, ბატონებო, ყოველ სიკეთეს“ და გაბრუნდა.

ძმისწული გაფითრდა. მე უნებურად დავეშვი სავარძელში. მოხელე პირ დაღებული ზის... და მხოლოდ ჩემი ძეგობარი გერონგი არ შეკრთა.

— მე დავაბრუნებ, — სთქვა მან და ქალს გამოუდგა. გერონგი გამბედავი, მარჯვე კაცია, სუყველაფერს მოაწყობსო, მაგრამ ორი წამის შემდეგ ის მარტოდ-მარტო ბრუნდება ოთახში.

— არა, ბატონებო, იმას ველარ მოვეწევით... ის ეკიპაჟით წაბძანდა და ჩვენ ფეხით მოგვიხდება სახლში დაბრუნება.

ასე, ჩემო ბატონო, მას აქეთ ის ქალბატონი ჩვენ აღარ გვინახავს და ყველაფერი გათავდა. საღამომდე ჩვენ ნელ-ნელა შევექცეოდით ქორწილისთვის გამზადებულ ღვინოს და თან ვარიგებდით ჩემ ძმისწულს, ისე როგორც ეხლა თქვენ: „ვისაც ცოლის შერთვა უნდა, მან წინდაწინვე უნდა დანამდვილებით იცოდეს, თუ რა სისტემით ხელმძღვანელობს მისი მომავალი მეუღლე“, თორემ!..

ეკ. გაბაშვილისა.



ბიეთის ტაძარი (აწყურის საზოგადოებაში).

გაფრთხილება

(გიუ-დე მოპასანისა)

ამ დღეებში ერთი ფრიად საყურადღებო „წერილი“ მივიღე. მსურს ეს წერილი გავაცნო ჩემს მკითხველებს დარწმუნებული ვარ, იგი ბევრს მათგანს დიდს სარგებლობას მოუტანს.

* *
*

პარიზი, 15 ნოემბერი 1886 წელს.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ვინაიდან თქვენ ხშირად სწერთ თანამედროვე საზოგადოებრივ ზნეობაზე, ნება მომეცით მოგაწოდოთ ზოგიერთი ისეთი აზრი რომელიც წერილის, ან მოთხრობისთვის მასალად გამოგადგებათ ცოლი არა მყავს. მგონია, რამდენადმე გულწრფელი ადამიანი უნდა ვიყო. ვფიქრობ, ასეთი გულ-წრფელობა მარტო მე კი არა მჩვევია, არამედ კაცების დიდს უმრავლესობასაც. ჩემს მოქმედებაში ყოველთვის, ან უკედა ვსთქვათ, თითქმის ყოველთვის გულ-ახდილი ვარ. აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ჩემს წინააღმდეგ მომართულს ვერაგობას ვერ ვამჩნევ. გაბედულად მივისწრაფვი წინ, უკან არ ვიცქირები და არ ვსცდილობ საგანთა და მოვლენათა ნამდვილ ხასიათის გაგებას.

ჩვენ ყველას ხშირად მოჩვენება სინამდვილედ მიგვაჩნია, ადამიანზე აზრის შედგენისათვის მარტო მის გარეგნობით ვხელმძღვანელობთ. ჩვენში ძლიერ ცოტანი არიან დაჯილდოებულნი ისეთი გამჭრიახი გრძნობით, რომ სისწორით გამოიცნონ დაფარული ბუნება ადამიანისა. ამ გარემოების მიხედვით, ჩვენ, როგორც ბრმა თხუნელები, ვერ ვამჩნევთ სხვა და სხვა მოვლენათ ვერ ვხედავთ იმას, რაც ნამდვილად არსებობს და მხოლოდ იმას-ღა ვამჩნევთ, რაც ჩვენ არსებულად გვეჩვენება. თუ ვინმემ აჰხადა ფარდა და მწვავე სინამდვილე დაგვანახვა, არ დავიჯერებთ და ყიჟინას დავაყრით. რაც ჩვენის ზნეობის თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, გამონაკლისად მიგვაჩნია, თუმცა ასეთ გამონაკლისთა ჯამი ფაქტების რიცხვს ბევრად აღემატება. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ჩემისთანა გულ-ახდილებს ყველა იბრიყვებს და განსაკუთრებით კი ქალები. ისინი ამაში ხომ ძლიერ დახელოვნებულნი არიან.

ეხლა იმ შემთხვევაზე მოგახსენებთ, რომელიც კერძოდ მე შემეხება.

მე მყავს საყვარელი—ჭმრიანი ქალი. როგორც ყველა მამაკაცებს ჰგონიათ, მეც ვფიქრობდი, რომ ახალგაზდა ქალი პირველად ჰღალატობდა თავის ქმარს.

ჩვენს შუა დიდხანს დარჩა კარგი განწყობილება. დარწმუნებული, რომ მისი გული სიყვარულით მოვიგე, მისდამი დიდს თავაზიანობას ვიჩენდი და თავი ფრთხილად მეჭირა.

ეხლა მოგახსენებთ, რა მოხდა წარსულ კვირაში. ამ ქალის ქმარი სადღაც წავიდა რამოდენიმე დღით. ქალს აზრად მოუვიდა ჩემთან ესადილნა. ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში მას განუყრელად თან სდევდა აზრი,—დამთვრალიყო.

ხშირად ყოფილა ხოლმე ასეთ მდგომარეობაში და ძალიან სასიამოვნოდ მიაჩნდა. დღეს კი უზომოდ დათრობა გადასწყვიტა.

სახლში სთქვა, ნაცნობებთან მივდივარო და სადილობისას მესტუმრა.

ცხადია, ქალს გაციებულ შამპანიურს თუ მიაწოდებ უარს არ გეტყვით; და იმანაც გადაჰკრა კარგა მოზრდილი ჭიქა და გამხიარულება დაეტყო. სადილი მზად იყო: ის სვამდა შამპანიურს გამალებით. მის გავლენის გამო გააბა განუწყვეტელი ტიკტიკი. მომითხრობდა თვის ქალწულობის დროზე; თვალები თან-და-თან აენთო, ლაპარაკის მადა მოუვიდა, მოგონებანი წყაროს ნაკადივით მოდიოდა. დრო-გამოშვებით მკითხავდა ხოლმე,—ხომ არ დავმთვრალვარო, როცა ვუპასუხებდი, არაო, ისევ განაგრძობდა სმას:

ცოტა ხნის შემდეგ ისე დათვრა, რომ, თუმცა გრძნობა კიდევ საღი ჰქონდა, მაგრამ გულ-ახდილობა კი ბევრად მომეტებული.

ეხლა თავის ქმრის ხასიათზე მომითხრობდა. ყოველივე საიდუმლო გადმომცა, თანაც ხშირად იმეორებდა: „მე მგონია შენთან ყველაფრის თქმა შემიძლიან; სხვას ვის ვეტყვი, თუ არა შენაო?“

ნათქვამიდან გავიგე მისი ქმრის მთელი შინაური ცხოვრება: ზნე-ჩვეულება, სისუსტე და კიდევ ბევრი უფრო საიდუმლო რამეებიც. დარწმუნებული, რომ თანაუგრძნობდი, ის ხშირად მკითხავდა ხოლმე: „როგორ იტყვით, ხომ უგვანი კაცი ყოფილა ჩემი ქმარი? მითხარით, თუ კაცი ხართ, განა შეეძლო მას ჩემი დაკმაყოფილება?

ა?... როგორ ფიქრობთ? მითხარით... შეეძლო?

როდესაც შენ დაგინახე, მაშინვე ვსთქვი. „აი, ეს კაცი მომწონს და ჩემი საყვარელი უნდა გაჰხდეს-მეთქი. შენც დაიწყე არშიყობა...“

ამ სიტყვებზე, ალბად, სასაცილო სახე მივიღე; მან შეამჩნია ეს და უეცრად სიცილი მოართო, თან ამბობდა: „და შენ კი, დოყლაპია, ყოველივე სიფრთხილეს ხმარობდი; კინალამ თავი დაგანებე. იცოდე, თუ ჩვენ გვეარშიყებიან, იმიტომ, რომ ჩვენვე აგრე გვსურს... და, რადგან ეს ასეა, სიფრთხილე აქ საჭირო არ არის, გაბედულება უფრო ხელსაყრელია. კაცი უნდა უგუნური იყოს, რომ თვალებში ვერ ამოიკითხოს ჩვენი სურვილი... და შენ კი... ჩემს წადილს ვერ მიხვდი და ყვავილებით, ლექსებით და ქათინაურებით მიმასპინძლდებოდი ახ! როგორი მხდალი ხარ!.. როცა ვიფიქრებ, რომ მამა-კაცების ერთი ნახევარი ასეთია, როგორც შენ მხდალები... სამაგიეროდ მეორე ნახევარი... ხა!.. ხა!.. ხა!..“

მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. „მეორე ნახევარი?.. მეორე ნახევარი როგორი-ღაა?“ ვკითხე მე. პასუხი არ გამცა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: „მეორე ნახევარი... ისინი არ იგვიანებენ... ის კი არა კიდევაც ჩქარობენ, მაგრამ რა?.. ძლიერ კარგად იქცევიან... ნეტავი იცოდე, რა სასაცილოა, შეადარო ორი მამა-კაცი... მხდალი, მორცხვი, აი, სწორედ ასეთი, როგორც შენ; რომელიც თავის დღეში ვერ წარმოიდგენს, როგორ იქცევიან სხვები, როცა ჩვენთან მარტო დარჩებიან ხოლმე. ოოხ! ისინი სწორედ ვაჟ-კაცები არიან! თუმცა ასეთ თავხედობისათვის ქალები მათ ხშირად ცუდად უმასპინძლდებიან, მაგრამ რა უშავს! ეს არაფერია!.. კარგად იციან, რომ ჩვენ ლაყბობა არ გვიყვარს; კარგად გვიცნობენ.“

საშინელ გამომეტყველებით ვუცქერდი ამ ქალს. დიდი სურვილი მქონდა, ყველაფერი მეთქმევინებინა, ყველაფერი გამეგო ხშირად ვეკითხებოდი ჩემს თავს: „როგორ ეპყრობიან მამა-კაცები ქალებს... ჩვენს ცოლებს... დებს?..

როდესაც დავინახავდი ორ კაცს, ერთ ქალთან მოსაუბრეს, ვიფიქრებდი, რომ, თუ რომელიმე მათგანი ამ ქალს განმარტოებით ხელთ იგდებდა, სულს სხვანაირ ქცევას გამოიჩენდნენ, სხვანაირი ლაპარაკი გაიმართებოდა მათ შორის. პირველსავე შეხვდვაზე იცნობთ მამა-კაცს, რომელიც თითქოს იმისთვის არის გაჩენილი ამ ქვეყანად, რომ ხელსაყრელ შემთხვევებით ისარგებლოს. ასეთი მამა-კაცები ჩვენზე უფრო ცქვიტები და გულადები არიან და ქალებთან ერთ საათს იმასვე აღწევენ, რასაც ჩვენ ერთის წლის განმავლობაში ვერ მოვახერხებთ.

როგორ იქცევიან ეს მაცდურები ხელსაყრელ შემთხვევის დროს? ნუ თუ სრულს თავისუფლებას აძლევენ თავიანთ თავს? ჰკოცნიან?.. ნუ თუ ისეთ რამეებს სჩადიან, რაც ჩვენ, მხდალებს, დიდ შეურაცყოფად მიგვაჩნია?.. ქალები?.. ისინი რას ეუბნებიან?.. მოსწონთ ეს?.. იქნება აპატიებენ კიდეც ასეთ გაბედულებას? ვკითხე: მამა-კაცებს შორის, ალბად, ბევრი გაუზრდელი და ტუტუცი არის, არა?“

ამ სიტყვების პასუხი ხანგრძლივი ხარხარი იყო. როცა ქალი დაწყნარდა განაგრძო:

„შენ მეკითხები, მამა-კაცებს შორის ტუტუცები არიანო? ან სხვანაირად რომ ვთსქვათ:—ისეთები, ვინც ყველაფრის ნებას აძლევს თავის თავს, ყველაფერს სჩადის?.. ყველაფერს, რაც შენ ვერც კი წარმოგიდგენია... და შეიძლება კიდევ მეტსაც?..

ამ აღსარებამ ჩემზე ძლიერ ცუდათ იმოქმედა, ვკითხე: „მერე განა თქვენ აძლევთ ამეების ნებას?“

— არა, რასაკვირველია, იმათ სილით არ ვისტუმრებთ... ისინი თუმცა ტუტუცები არიან, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მათ ჩვენ თქვენზე უფრო ვუყვარვართ.—მეწყინა, მე უცოლო ვარ და ცოლის შერთვას აღარ ვაპირებ, მაგრამ ამ ურცხვ აღსარების გაგონებაზე ჩემში გალანძღულ ქმრის თავმოყვარეობამ გაიღვიძა. მეგობრობა ვიგრძენ და ყველა იმ ქმრებისადმი, რომელთაც ასე უსირცხვოდ, ასე შეუბრალებლად ძარცვავენ და ატყუილებენ ცოლები.

აი, სწორედ, ამ გარემოებამ ჩემზე იმოდენად იმოქმედა, რომ მაიძულა კალმისთვის ხელი მომეკიდნა და თქვენი შემწეობით გაფრთხილება მიმეცა გულ-უბრყვილო ქმრებისთვის.

ვყოყმანობდი, არ მჯეროდა მთვრალი ქალისაგან წამონასროლი სიტყვები. ვკითხე: „რატომ არის, რომ არავინ თქვენგანი ასეთ რამეებს არასოდეს არავის უამბობს?“ ქალმა შებრალებით შემომხედა და მიპასუხა: „მეკითხებით, რატომ? ოჰ! როგორი წრფელი ყოფილხარ, ჩემო კარგო! ნუ თუ შენა გგონია, რომ ამაზე ლაპარაკი შეიძლება!.. ხა... ხა... ხა!.. ჰო! თუმცა ქმარს უფლება არა აქვს უკმაყოფილება განაცხადოს... რადგან... ჩვენ... ბევრის ნებას არ ვაძლევთ. მაგრამ შენ კი მეტის-მეტი გულ-ახდილი ყოფილხარ! ამაზე ლაპარაკი რა საჭიროა; რეგვენ ქმრებს დააფთხობს და საქმეს კი არას შესძენს. ან და რა საჭიროა ასეთების ლაპარაკი? რა დიდი შეცოდებაა... თუ არ... გადავამეტებთ?..

„მაშ, შენ გკოცნიდნენ?“ ვკითხე.

მან მომაპყრო ზიზღით სავსე თვალები, რომლებიც მეუბნებოდნენ, რომ ამის კითხვაც მეტიაო და განაგრძნო: „ღმერთო ჩემო! განა ყველა ქალებს არა ჰკოცნიან?.. აბა თვითონ სცადე ვისმეზე. აი თუნდაო X-ს ცოლზე. მ'შვენიერი ქალია, ახალგაზდა, ლამაზი, როცა შეგხვდეს, უსათუოდ აკოცე! ნუ შეგრცხვება! მაშინ ნახავ, რომ ხა... ხა... ხა!

სიცილის დროს უეცრად სასასმო აიღო და რაც ძალიდა-ღონე ჰქონდა სანთელს შესტყორცნა. სანთელი ჩაჰქრა შემდეგ ბოთლს წაავლო ხელი, მაგრამ სწრაფად გამოვსტაცე დაიწყო ყვირილი; ეტყობოდა ნერვები აეშალა...

. . . . . .

გავიდა რამდენიმე დღე. ეს შემთხვევა თითქმის დავიწყებული მქონდა, როდესაც ერთ საღამოზე შევხვდი X-ს ცოლს, სწორედ იმ ქალს, რომლის კოცნა მირჩია ჩემმა საყვარელმა ქალმა, ვსთხოვე ნება მოეცა, გამეცილებინა. იმანაც დიდის სიამოვნებით თანხმობა განაცხადა. როდესაც ეტლში ჩავსხედით, გადავსწყვიტე რჩევა მესინჯა. გაბედულება მაკლდა: არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, რომ საქმეს სასურველი მიმდინარეობა მიეღო. პატარა ხნის შემდეგ გაბედულება მომემატა. პირველად ქათინაურებით მივმართე: „სწორედ მშვენიერება იყავით ამ საღამოს!“

მან სიცილით მიპასუხა: „მაშ, დღეს განსაკუთრებითი შემთხვევაა, რადგან თქვენ პირველად შეამჩნიეთ“ მე არ ვიცოდი რა მეპასუხნა: „სრულიადაც არა! მე ვერ გავბედე თქვენთვის ეს წინეთ მეთქვა...

— რატომ?—მკითხა მან გაკვირვებით.

„იმიტომ, რომ... მეძნელებოდა, მრცხვენოდა.“

— გეძნელებოდა გეთქვა ქალისათვის, რომ ის ლამაზია? რას ამბობთ? ეს ქალს ყოველთვის უნდა უთხრათ, მაშინაც კი, როდესაც თქვენვე არა ხართ დარწმუნებული; უნდა უთხრათ, იმიტომ, რომ ქება ჩვენ გვსიამოვნობს.—

გაბედულება შესამჩნევად მომემატა. მთრთოლვარე ხელები მოვხვიე მის ლერწამივით ჩამოსხმულს ტანს და მძლავრად ჩავიკარ გულში, თან გაშმაგებული ვეძებდი მისს ტუჩებს, რათა მხურვალე კოცნა აღმგებეჭდა მათზე.

ალბად, შესაფერად ვერ მოვიქეცი: ქალმა პირი განზე მიიბრუნა და სთქვა: „ახ! არა! არა!.. ეს მეტის-მეტია! მეტის-მეტი... აგრე აჩქარება.., გაფრთხილდით... ასე თმას გამიშლით... მოხვევა განა ეგრე უნდა!.. როცა ქალს თმა ამ რიგად აქვს გაკეთებული.“ განვშორდი და ჩემს წინანდელ ადგილზე დავჯექი. ეტლი გაჩერდა მისი სახლის შესავალთან. ქალი გადმოვიდა, გამომემშვიდობა და მოფერების კილოთი მითხრა: „დიდად გმადლობთ გამოცილებისათვის! ჩემი რჩევა არ დაგავიწყდეთ!“

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდი ამ ქალს. ის შემთხვევა სრულიად დაჰვიწყებოდა...

მე კი, ჩემო ბატონო, თავის დღეში არ დამავიწყდება... ყოველთვის თვალ-წინ მიდგას ისეთი მამა-კაცი, რომელიც შემთხვევით შესაფერისად სარგებლობს და თან თმაზედაც ზრუნავს.

***

ამ წერილს განუმარტავად ვაწვდი მკითხველ საზოგადოებას: ვაჟებს და ქალებს, ცოლიანებს და უცოლოებს, ქრმიანებს და უქმროებს.

Fon.

ტფილისი, მეხრეთის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.